ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო
სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის
მასალების კრებული

ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში

Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference
Dedicated to the Foundation of
Paata Gugushvili Institute of Economics

ACTUAL ECONOMIC PROBLEMS UNDER GLOBALIZATION

თბილისი
TBILISI

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

მხარდამჭერი ორგანიზაციები:
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტი
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
აკ. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
SUPPORTING ORGANIZATIONS:
COLLEGE OF BUSINESS OF ILIA STATE UNIVERSITY
GURAM TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY
AKAKI TSERETELI KUTAISI STATE UNIVERSITY

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის
მასალების კრებული

ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში

(21-22 ოქტომბერი, 2011)

Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference
Dedicated to the Foundation of Paata Gugushvili Institute of Economics

ACTUAL ECONOMIC PROBLEMS UNDER GLOBALIZATION

(21-22 October, 2011)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

თბილისი Tbilisi 2011

UDC (უაკ) 061.62:33(479.22)(063)

ი – 323

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში 2011 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2011

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), ნ. არევაძე, თ. არნანია-კეპულაძე, ლ. ბელინსკაია, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), მ. გონაშვილი, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, გ. კასნაუსკიენე, მ. კვარაცხელია, ა. კრედისოვი, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, ს. პავლიაშვილი, ს. პარტიცკი, ვლ. პაპავა, გ. პაპავა, ა. სილაგაძე, დ. სოლოღაშვილი, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ლ. ჩიქავა, თ. ჩხეიძე

Scientific-editorial Board: R. Abesadze (Editor-in-Chief), N. Arevadze, T. Arnania-Kepuladze, L. Belinskaja, N. Bibilashvili (Executive Secretary), L. Chagelishvili, L. Chikava, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, M. Gonashvili, E. Kakulia, N. Kakulia, G. Kasnauskiene, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kredisov, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, S. Partycki, G. Papava, V. Papava, S. Pavliashvili, A. Silagadze, D. Sologashvili

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული

ემდ ვ. ბერულავა

Reviewers: Doc. of Econ. V. Burduli

Doc. of Econ. V. Berulava

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი: თ. გოგოხია (ხელმძღვანელი), ნ. კედია, ე. ჯაბანაშვილი

Organizing Group of the Conference: T. Gogokhia (Head), N. Kedia, E. Jabanashvili

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

© PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

2011

ISBN 978-9941-9168-2-3

Papava George

CONCERNING THE NORMAL MORPHOLOGY OF THE MARKET TECHNOLOGY OF AN ECONOMY

SUMMARY

On the basis of qualitative analysis it should be found and used the possibilities of morphologically rational joining and combining of economic realia (including economic actions, reactions and situations excluding negative behaviors of economic entities) forming according to time periods under the conditions of a market economy. As result, the socially sound economic effectiveness of these processes and operations will be oriented to the highest level of a return.

This is the organizing function of the morphology of an economy.

ვლადიმერ პაპავა

მონეტარული პოლიტიკის ზეგავლენა ნეკროეკონომიკაზე

ეკონომიკურ ზრდაზე ინფლაციის ან ექსპორტზე ეროვნული ვალუტის დევალვაციის ზეგავლენის საკითხი, როგორც ზოგადად, ისე პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, არაერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გამოკვლევის საგანს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ზომიერი ინფლაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რადგან მეწარმე დაინტერესებულია, რაც შეიძლება სწრაფად დაასრულოს წარმოებრივი ციკლი, რომ დროზე მიიღოს მოგება და მისი ნაწილი (თუ სრულად არა) კვლავ ჩადოს წარმოებაში, ყოველი წარმოებრივი ციკლის შედეგად მიღებული ამონაგები ინფლაციამ რომ არ გააუფასუროს. აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ ზომიერი ინფლაცია ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელია.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მაგალითია ეროვნული ვალუტის დევალვაციით ექსპორტის სტიმულირება, რადგან ეროვნული ვალუტის გაიაფება უცხოურ ვალუტასთან შედარებით აშკარად ხელსაყრელია ექსპორტისათვის და იმავდროულად აძვირებს იმპორტს. ბუნებრივია, შესაბამისი რეკომენდაცია, რომელიც ამ მსჯელობის საფუძველზე კეთდება, არის ის, რომ მიზანშეწონილია ეროვნული ვალუტის თანდათანობითი დევალვაცია, რათა ამით ექსპორტის სტიმულირებას შეეწყოს ხელი.

რადგან ინფლაციაც და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დევალვაციაც ბრუნვაში ფულის მასის ზრდით მიიღწევა, ამიტომ ეკონომისტები და პოლიტიკოსები მიზანშეწონილად მიიჩნევენ ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზნად ეკონომიკის სტიმულირებაა ჩათვლილი. სწორედ ამ დებულებაზე დაყრდნობით, პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომისტთა და მათი მხარდაჭერით, პოლიტიკოსთა ერთ-ერთ აქტუალურ სადისკუსიო თემას ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა წარმოადგენს. კერძოდ, კრიტიკის ობიექტი ხდება მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც შესაბამისი ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობასა და ინფლაციის დაბალ ტემპებს უზრუნველყოფს. კრიტიკოსები თვლიან, რომ სწორედ ამგვარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევის უმთავრესი შემაფერხებელი მიზეზი; აქედან გამომდინარე, ეროვნული ვალუტის დევალვაციასა და ინფლაციის შედარებით მაღალ ტემპებს მოითხოვენ, რისთვისაც ფულის ემისიის ტემპების დაჩქარებას განხორციელებას უჭერენ მხარს.

ცნობილია, რომ ისეთი ფენომენი, როგორიცაა ნეკროეკონომიკა, რომელიც საქონლის ისეთ ბაზარს ქმნის, რომელშიც მოთხოვნა არ არსებობს, პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. ამ ტიპის ბაზრისათვის ეკონომიკის მონეტარული სტიმულირების განხილული მექანიზმები უბრალოდ უძლურია.

პირველი კითხვა, რასაც პასუხი უნდა გაეცეს, არის ის, ინფლაციის დონის ზრდის პირობებში ნეკროეკონომიკის საწარმოები მართლა შეძლებენ თუ არა წარმოების განვითარებას, ხოლო მეორე კი ის, თუ ნეკროეკონომიკის დიდი მასშტაბების პირობებში მისი ინფლაციური სტიმულირება რამდენად კარგ შედეგებს მოიტანს.

დავიწყოთ იმით, თუ რამდენადაა ნეკროეკონომიკური საწარმოები მზად, შედარებით მაღალი ინფლაციის პირობებში განავითარონ წარმოება. სამწუხაროდ, პასუხი უარყოფითია. კერძოდ, კომუნისტური ეპოქის დროინდელ საწარმოთა უმრავლესობაში მოძველებული ტექნიკა-ტექნოლოგიაა, რის საფუძველზეც შეუძლებელია კონკურენტუნარიანი (მაღალხარისხიანი და დაბალდანახარჯიანი) პროდუქციის წარმოება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის რეალურ სექტორში სერიოზული ინვესტიციების განხორციელებისა და ახალი (ან განახლებული) ბაზრების მოძიების გარეშე (რასაც ასევე დრო სჭირდება) ამ საწარმოთა პერსპექტიულობაზე ფიქრიც კი პრაქტიკულად გამორიცხულია.

ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალის ამაღლების მნიშვნელოვან გზას უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს, რომელთა მასობრივი შემოსვლაც ეკონომიკის რეალურ სექტორში, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, დროში ერთობ გაჭიანურებულია: საწყის ეტაპზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ძირითადად სპეკულაციური კაპიტალი შემოდის, რომელიც უმთავრესად უძრავი ქონების სექტორში იყრის თავს. საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, სტაბილიზაციის (პოლიტიკური და აუცილებლად მაკროეკონომიკური) მიღწევიდან ეკონომიკის რეალურ სექტორში უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადების შემოსვლამდე დროითი ლაგი არანაკლებ სამი წელია.

ინფლაციის ტემპების ზრდა უცხოელი პარტნიორების თვალში, ძალზე დიდი ალბათობით, აღქმული იქნება, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის კურსიდან გადახვევა, რაც, თავის მხრივ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას კვლავ გადაავადებს. მაშასადამე, ინფლაციის ზრდა ნეკროეკონომიკის პირობებში წარმოების განვითარებას არათუ ხელს შეუწყობს, არამედ, იმ მწირი რესურსების (რომლებიც შეიძლება წარმოებაში ინვესტიციების განსახორციელებლად არსებობდეს) ზრდის რეალურ შესაძლებლობებსაც კი არასავაჭრო ოპერაციებისათვის ხელმიუწვდომელს გახდის.

ეს დასკვნა სავსებით საკმარისია იმ აზრის უკუსაგდებად, რომლის თანახმად, თითქოსდა ინფლაციის სტიმულირება ნეკროეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოების განვითარებას უწყობდეს ხელს.

ზუსტად იგივე სურათი იქმნება ეროვნული ვალუტის დევალვაციის ხელშეწყობით, რადგან ნეკროეკონომიკურ საწარმოებს მით უფრო არ შესწევთ უნარი, საექსპორტო პროდუქცია გამოუშვან.

საკითხის ანალიზის კომპლექსურობა მოითხოვს, რომ ცალკე ყურადღება დაეთმოს საკითხს, თუ ინფლაციისა და ეროვნული ვალუტის დევალვაციის სტიმულირებას ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში რა შესაძლო შედეგები მოჰყვება.

პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობისათვის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყისი ეტაპი, არცთუ იშვიათად, მაღალი ინფლაციითა და ეროვნული ვალუტის სწრაფი და არსებითი დევალვაციით ხასიათდებოდა. მართალია, ამის შემდეგ ინიცირებულმა მკაცრმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ საშუალება მისცა ამ ქვეყნებს, ინფლაციაც მოეთოკათ და დევალვაციაც გაეკონტროლებინათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უახლოესი წარსულის ხსენებული სავალალო მოვლენები მოსახლეობის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია, რაც ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის საბოლოო და საყოველთაო დამკვიდრებას უშლის ხელს.

ასეთ პირობებში, ინფლაციის ტემპების გაზრდა და ეროვნული ვალუტის დევალვაციის სტიმულირება მოსახლეობაში ეროვნული ვალუტის, როგორც დაგროვების საშუალებისადმი, ისედაც სუსტ სტიმულებს კიდევ უფრო შეასუსტებს.

ინფლაციის დონის ამაღლებისა და ეროვნული ვალუტის დევალვაციის ხელშეწყობის შემთხვევაში სოციალურ სფეროში კიდევ უფრო მძიმე სურათი შეიქმნება. ინფლაციის პირობებში მოსახლეობის ცხოვრების დონე, სხვა თანაბარ პირობებში, აუცილებლად ქვეითდება. ეს პროცესი ნაკლებად მტკივნეულია იმ ქვეყნებისათვის, სადაც მინიმალური ანაზღაურება საარსებო მინიმუმს სულ ცოტა ერთნახევარჯერ ან ორჯერ მაინც აღემატება. მაგრამ, როცა მინიმალური ანაზღაურება საარსებო მინიმუმის მხოლოდ ნაწილს შეადგენს, ინფლაციის ტემპის ზრდა მოსახლეობის ყველაზე უფრო შეჭირვებულ კატეგორიას უდიდეს დარტყმას მიაყენებს. თანაც ეროვნული ვალუტის დევალვაცია უშუალოდ აძვირებს იმპორტირებულ სამომხმარებლო პროდუქციას, რაც მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე ასევე უარყოფითად აისახება.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს შემდეგი გარემოების გათვალისწინებასაც: ეროვნული ვალუტის დევალვაცია საბაჟო შემოსავლებს გაზრდის, მაგრამ, იმავდროულად, საგარეო ვალის მომსახურებას გააძვირებს. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანი გარემოებაა იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც დიდი ოდენობით აქვთ საგარეო ვალი.

მაშასადამე, ნეკროეკონომიკის მეტ-ნაკლებად ფართო მასშტაბების პირობებში ბრუნვაში ფულის მასის ზრდით ინფლაციისა და ეროვნული ვალუტის დევალვაციის სტიმულირება სულაც არ არის ეკონომიკური ზრდისა და საექსპორტო პოტენციალის გაფართოების გამომწვევი. თუმცა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი კი შეიძლება აღმოჩნდეს.

Papava Vladimer

IMPACT OF THE MONETARY POLICY ON NECROECONOMY

SUMMARY

The issue of inflation's impact on economic growth – both in general context and, specifically, in that of post-Communist transformation, has been a subject of numerous studies. One of the most common themes that has often been subject to debate among the economist and political circles is the restrictive monetary policy pursued by the central bank, which is the key to both the stability of the exchange rate of national currency, and a low inflation rate. Critics argue that such a monetary policy is a main obstacle that prevents the country from achieving greater economic growth and, therefore, insist that the government should increase money supply and, thereby, allow devaluation of currency and a higher inflation rate.

The most of enterprises in post-Communist countries that come from the Communist epoch own outdated equipment and technologies which can not produce competitive (high-quality and low-cost) goods. In other words, the shares of "necroeconomy" in the overall national economy of many post-Communist countries are still very high. Foreign investments represent one of the most effective factors of improving these countries manufacturing potential. From the standpoint of foreign partners, growing inflation rate is very likely to be interpreted as a deviation from the stabilization course, in which case the flow of foreign investments into economy will be delayed for indefinite time. This means that under the conditions of higher inflation rate, nor the third source of production enhancing investments will be available. The same situation will be resulted in a case of devaluation of the national currency because of existing of the necroeconomy.